

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის

2013 წლის 30 დეკემბრის სხდომის

ოქმი №44

სტუ-ს სენატს სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოუდგინა საკითხი სტუ-ს 2014 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ. აღნიშნული საკითხის შესახებ სენატის 28 წევრიდან (1 საპატიო წევრი) 21 წევრს მიეწოდა ინფორმაცია (1 წინააღმდეგი) და გამოკითხვის წესით მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატს სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარუდგინა საკითხი სტუ-ს 2014 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა: დაკმაყოფილდეს ადმინისტრაციის შუამდგომლობა და დამტკიცდეს სტუ-ს 2014 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებები, კერძოდ:

1. სამშენებლო ფაკულტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში ნაშთის სახით გადატანილ იქნეს 10 632 ლარი. აქედან ასიგნებებში გაიწეროს: მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა - 762 ლარი, ხოლო კომპიუტერული ტექნიკის შეძენა - 9 870 ლარი;
2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში ნაშთის სახით გადატანილ იქნეს 113 582 ლარი. აქედან ასიგნებებში გაიწეროს: მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა - 14 312 ლარი, ხოლო კომპიუტერული ტექნიკის შეძენა - 99 270 ლარი;
3. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში ნაშთის სახით გადატანილ იქნეს 25 238 ლარი. აქედან ასიგნებებში გაიწეროს: მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა - 2 834 ლარი, ხოლო კომპიუტერული ტექნიკის შეძენა - 22 404 ლარი;
4. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში ნაშთის სახით გადატანილ იქნეს 20 924 ლარი. აქედან ასიგნებებში

გაიწეროს: მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა - 4 464 ლარი, ხოლო კომპიუტერული ტექნიკის შეძენა - 16 460 ლარი;

5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში ნაშთის სახით გადატანილ იქნეს 57 600 ლარი და გაიწეროს კომპიუტერული ტექნიკის შეძენის მუხლში;
6. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში ნაშთის სახით გადატანილ იქნეს 8 711 ლარი. აქედან ასიგნებებში გაიწეროს: მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა - 946 ლარი, ხოლო კომპიუტერული ტექნიკის შეძენა - 7 765 ლარი;
7. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში ნაშთის სახით გადატანილ იქნეს 132 590 ლარი. აქედან ასიგნებებში გაიწეროს: მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა - 7 990 ლარი, ხოლო კომპიუტერული ტექნიკის შეძენა - 124 600 ლარი;
8. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში ნაშთის სახით გადატანილ იქნეს 325 733 ლარი. აქედან ასიგნებებში გაიწეროს: ელექტრო მოწყობილობების შეძენა - 65 683 ლარი, კომპიუტერული ტექნიკის შეძენა - 255 525 ლარი, ხოლო კომპიუტერული პროგრამების უზრუნველყოფა - 4 525 ლარი.

სენატის სპიკერი,

პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

ბექა კოპაძე